

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

11.02.2021

დასკვნა

06.03.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია Applied Social Psychology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | ფსიქოლოგიის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0313 ფსიქოლოგია Psychology |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 40 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული (№14, 03.02.2015) |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|-----------------------------|--------------------|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, | გოდერძი ბუჩაშვილი, |
|-----------------------------|--------------------|

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | შპს-საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი -სეუ, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ნიჭარაძე, კ. ბენდუქიძის სახ. თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარიამ ლობჯანიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან, სადოქტორო პროგრამის მიზანია - დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგების მომზადება, რომლებიც შეძლებენ:

- ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ორიგინალური სამეცნიერო კვლევების დაგეგმვასა და ჩატარებას, მიღებული შედეგების გავრცელებას და დანერგვას როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ასევე შრომის ბაზარზე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
- სხვადასხვა სფეროებში სოციალური ინტერვენციების დაგეგმვას, ჩატარებასა და შეფასებას საზოგადოების კონკრეტული სეგმენტის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით³;
- კომპეტენტური კადრების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი იქნება სწავლების თანამედროვე მეთოდებით;
- საკუთარი და სხვათა უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას და განხორციელებას თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით როგორც განათლების, ასევე დასაქმების სფეროში.

ამ ეტაპზე პროგრამას კურსდამთავრებული არ ჰყავს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 11 თებერვალს დისტანციურად Zoom ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით

³აქ შედის: სოციალური პრობლემების იდენტიფიკაცია შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, სოციალური პრობლემების ანალიზი სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან, მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ეფექტური ინტერვენციების დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება.

დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (ვიცე-რექტორი, კანცლერი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. გადამოწმდა მატერიულური და ტექნიკური აღჭურვილობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

რეკომენდაციები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მოტივაციისა და მათი საქმიანობის აღწერის მიზნით, დისერტაციის ხელმძღვანელობა უნდა ფასდებოდეს აკადემიური საქმიანობის კომპონენტად.
- სასურველია პროგრამაში გაიწეროს დარგობრივი და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად სასურველია პროგრამა უზრუნველყოფდეს სფეროს სხვა კვლევითი მიმართულებების აკადემიურ პერსონალის ჩართულობას.
- პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრების/კომუნიკაციის ორგანიზება და დოქტორანტების ჩართულობის გაზრდა მსგავს აქტივობებში.

- უსდ-ში არსებული აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის სრულყოფილად დანერგვა. პროგრამა "TURNITIN"-ის ფართოდ გამოყენება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებში და სადისერტაციო ნაშრომის შესრულების სხვადასხვა ეტაპზე.
- სასურველის სამეცნიერო ბაზების გამოყენების კიდევ უფრო გამარტივებული პროგრამული უზრუნველყოფა და გამოყენების სტატისტიკის წარმოება.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის განვითარების კუთხით, გადამუშავდა პროგრამის სასწავლო კომპონენტი. პროგრამას დაემატა 3 ახალი საგანი "პროგრამის/პროექტის შეფასება", "რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი SPSS საშუალებით" და „კვლევის მეთოდოლოგია“ და შემუშავდა სილაბუსები კომპონენტებისთვის

- დარგობრივი სემინარი - 10 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი
- მოთხოვნის შესაბამისად მომზადდა დანართები და შესაბამისი დოკუმენტები
- შეიცვალა კვლევითი კომპონენტის ფორმატი, 2 კოლოკვიუმი ჩანაცვლდა 2 საკვლევი პროექტით, რომელიც გახდა დაცვის წინაპირობა სტატიის გამოქვეყნებასთან ერთად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგების მომზადება, რომლებიც შეძლებენ:

- ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ორიგინალური სამეცნიერო კვლევების დაგეგმვასა და ჩატარებას, მიღებული შედეგების გავრცელებას და დანერგვას როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ასევე შრომის ბაზარზე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
- სხვადასხვა სფეროებში სოციალური ინტერვენციების დაგეგმვას, ჩატარებასა და შეფასებას საზოგადოების კონკრეტული სეგმენტის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით;
- კომპეტენტური კადრების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი იქნება სწავლების თანამედროვე მეთოდებით;
- საკუთარი და სხვათა უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას და განხორციელებას თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით როგორც განათლების, ასევე დასაქმების სფეროში. მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, კომპეტენტურად, ამომწურავად. მიზნების მიღწევადობას უზრუნველყოფს პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს იმ კურსდამთავრებულების მომზადებას რომლებიც საკუთარ წვლილს შეიტანენ შესაბამისი სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების (ბრძანება N69/ნ. 10.04. 2019 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების

შესახებ“) უმაღლესი განათლების შესაბამისი დონის აღმწერის საფუძველზე. ინტერვიუს დროს დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად განსაზღვრულია სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემები და მათი შეფასების დრო და პერიოდულობა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების ცხრილში (დანართი #9) სადაც აღწერილია სასწავლო კურსი, რომლითაც ხდება შეფასება, შეფასების ფორმა, სამიზნე ნიშნულები, მონაცემების შეგროვების დრო, პასუხიმგებელი პირი და მიღებული შედეგების შეფასების შესახებ ონფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- დოქტორანტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ფორმულირებულია შემდეგნაირად: 1. პროგრამაზე სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიის ან სოციალური მეცნიერებების მაგისტრის ხარისხი. სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი #ან ცნობა; 2. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით; ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus 3. სავარაუდო ხელმძღვანელის თანხმობა 4. სამოტივაციო წერილი, სადაც აღწერილი უნდა იყოს კვლევითი ინტერესი, სადოქტორო თემის მონახაზი და მეთოდოლოგია - მაქსიმალური

ქულა 50 გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან - (მაქსიმალური ქულა 50) გასაუბრება შეფასდება 3 კრიტერიუმით: საკვლევი თემის შესაბამისობა პროგრამასთან (20 ქულა), მოტივაცია (20 ქულა), კვლევითი პროექტის პრეზენტაცია (10 ქულა). საბოლოო შეფასება მოხდება კომპონენტის დაჯამებით. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებთან. პროგრამაზე დაშვების ერთერთ წინაპირობად განსაზღვრულია, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიის ან სოციალური მეცნიერებების მაგისტრის ხარისხი, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია ითვალისწინებს ამ სფეროს ქულის ქვეშ არსებულ სხვა სფეროებსაც (0311 ეკონომიკა, 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0313 ფსიქოლოგია, სოციოლოგია და კულტურის კვლევები, სოციალური და ქცევითი მეცნიერებები ა.შ.). ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პრაქტიკულად პროგრამა იღებს მხოლოდ ფსიქოლოგის მიმართულებით კვალიფიკაციის მქონე მაგისტრებს, რადგან პროგრამას არ ჰყავს შესაბამისი აკადემიური პერსონალი ვინც დოქტორანტს ხელმძღვანელობას გაუწევს სოციალური მეცნიერებების ქულის ქვეშ არსებულ სხვა სფეროების მიმართულებით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში;
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად სასურველია პროგრამა უზრონველყოფდეს სფეროს სხვა კვლევითი მიმართულებების აკადემიურ პერსონალის ჩართულობასაც.

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი). სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს, მათ შორის 30 ECTS სავალდებულოა ხოლო 10 ECTS არჩევითს. მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებია: „კვლევის მეთოდოლოგია“ 10 ECTS, “პროფესორის ასისტენტობა” (10 ECTS) და “დარგობრივ სემინარი” (10 ECTS). სასწავლო კომპონენტში 10 ECTS არის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის: “პროგრამის/პროექტის შეფასება” - 5 ECTS, “რაოდენობრივი კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება” -5 ECTS. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულება და დარგობრივი კომისიის წინაშე წარდგენა. ამას გარდა, დოქტორანტის საჯარო დაცვაზე დაშვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა გამოქვეყნებული პუბლიკაცია; დოქტორანტმა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ორი სტატია: ა) Scopus-ში ან Web of Science-ში ინდექსირებულ რომელიმე ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში - conference proceedings) - აუცილებელია მინიმუმ 1 მაინც; ბ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

| |
|---|
| <p>კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</p> <p>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ყველა ძირითადი სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და თავის მხრივ, ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ინტერვიუდან დგინდება, რომ არსებული პრაქტიკის მიხედვით, დოქტორანტებს ეძლევათ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, უფასოდ გაიარონ მომიჯნავე სპეციალობის კურსი (მაგ. პედაგოგიკა), თუმცა ამის შესახებ პროგრამაში ინფორმაცია არ არის განთავსებული.</p> <p>სასწავლო კურსებში არსებული საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად დაგეგმილია შეფასების სათანადო კომპონენტი და მეთოდი.</p> <p>სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამატებითი სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებსა და ზოგადად, დარგის სპეციფიკას.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ ინტერვიუს შედეგები. |
| <p>რეკომენდაციები:</p> <p>სასურველია პროგრამაში გაიწეროს დარგობრივი და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია.</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის</p> |

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს პრაქტიკული სამუშაოს/პრაქტიკული დავალების ჩატარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება; სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა და სხვ.

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსების საფუძველზე, როგორცაა, „კვლევის მეთოდოლოგია“, „პროგრამის/პროექტის შეფასება“, „რაოდენობრივი კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

| |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კომპონენტის სილაბუსები. |
| <p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ |
| <p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|---|
| <p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> |
| <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდები, შემუშავებულია გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროს შესაბამისად. ცალკეულ კურსში დაკონკრეტებულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და იგი განსაზღვრულია კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. ცალკეული კურსი იყენებს სწავლა-სწავლებისა და შეფასების</p> |

მრავალფეროვან მეთოდს და ყველა ეს მეთოდი შეესაბამება როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგების შეფასების სპეციფიკას, ასევე ზოგადად უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. მოცემული მეთოდები ასახავს როგორც ინდივიდუალური სტუდენტის საჭიროებას, ასევე უზრუნველყოფს კონკრეტული ცოდნისა და უნარის ეფექტურ შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაში არსებული კურსების სილაბუსებში გაწერილია სტუდენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. სტუდენტებისათვის სილაბუსები ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ელექტრონული პროგრამის ინდივიდუალური პროფილიდან. კურსის დასაწყისში, ლექტორი აცნობს სტუდენტებს სილაბუსს და შესაბამის შეფასების სისტემას.

დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის განსაზღვრისას პროგრამაში ჩართული პერსონალი ხელმძღვანელობს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის მიხედვით.

სასწავლო კურსებში არსებული კომპონენტები და მეთოდები (პრეზენტაციები, პროექტები, თეორიული და პრაქტიკული დავალებები, გამოცდები) მორგებულია და ითვალისწინებს კურსის შინაარსს და შეესაბამება აღწერილ სწავლის შედეგებს. შეფასება ხორციელდება, როგორც შუალედურ ისე დასკვნით ეტაპზე. შეფასებათა ჯამი შეადგენს 100 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების (A; B; C; D; E). მიღების შემთხვევაში. FX-ის შემთხვევაში ინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. ხოლო უარყოფით შეფასება F-ს (40 ქულა და ნაკლები), სტუდენტი საჭიროებს საგნის ხელახლა შესწავლას.

საკრედიტაციო კომისიის მიერ, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა ინტერვიუებისას, დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ ნიშნების/შეფასების გასაჩივრების მექანიზმები გაწერილია და ისინი ინფორმირებულნი არიან ამის შესახებ. რაც შეეხება პლაგიატის ამომცნობ პროგრამა „TURNITIN“-ს, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სადოქტორო კურსების ფარგლებში ჯერ-ჯერობით არ ხორციელდება დავალებების აქტიური შემოწმება პროგრამაში, თუმცა ინფორმაციას ფლობენ, რომ უახლოვს მომავალში სავალდებულო იქნება ყველა დავალების ატვირთვა/ დისერტაციის ეტაპობრივი შემოწმება აღნიშნული პროგრამით და შესაბამისად დამატებითი მექანიზმი გააქტიურდება შეფასების პროცედურებში. იდენტური ინფორმაცია დაფიქსირდა სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალის მხრიდან ექსპერტთა ინტერვიუს მსვლელობისას.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება ხორციელდება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებითა და საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად (თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული წესების მიხედვით), კერძოდ: დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (subomnicanone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის

კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად.

სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას სამეცნიერო ხელმძღვანელი პერიოდულად აფასებს დოქტორანტის პროგრესს/ დოქტორანტი ხელმძღვანელისგან იღებს უკუკავშირს, ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ. სასწავლო კურსისა და დისერტაციის ხელმძღვანელთან კომუნიკაციის დრო წინასწარაა დადგენილი და განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტები ინტერვიუს დროს ხაზგასმით საუბრობდნენ ლექტორებთან და ხელმძღვანელებთან კონსულტაციების სიმარტივესა და მოქნილობაზე. აღნიშნეს რომ კომუნიკაციისთვის ეფექტურად იყენებდნენ როგორც შეხვედრებს, ისე ელ. ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას და სხვ. სტუდენტთა გამოკითხვის მიხედვით, კომუნიკაციის ფორმებიდან უხშირესია პირისპირ კომუნიკაცია (66.7%). სტუდენტთა 70% თვეში ერთხელ და მეტჯერ ამყარებს კომუნიკაციას ხელმძღვანელთან. როგორც ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კომუნიკაციის სიხშირეს განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ეტაპი და სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებაც. სტუდენტთა გამოკითხვის თანახმად, ხელმძღვანელთან მუშაობის კმაყოფილება სტუდენტება 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ძალიან დაბალი, ხოლო 10 მაღალი შეფასებაა, საშუალოდ 9.4 ბალით შეაფასეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- დადგენილება №245/2018 - დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების
- შესახებ;
- ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნ. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება
- ინტერვიუ სტუდენტებთან, ლექტორებთან და სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უსდ-ში არსებული აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის სრულყოფილად დანერგვა. პროგრამა "TURNITIN"-ის ფართოდ გამოყენება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებში და სადისერტაციო ნაშრომის შესრულების სხვადასხვა ეტაპზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ - ში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, სადაც პროგრამაში ჩართული პირებისგან იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სამეცნიერო აქტივობებსა და სხვა საუნივერსიტეტო

სერვისების მიღების თაობაზე.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში თავდაპირველ რეგისტრაციაში დოქტორანტებს დახმარებას ადმინისტრაციის წარმომადგენლები უწევენ. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესებისა და რეგულაციების შესახებ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით, მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მობილურ ტელეფონზე, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. სტუდენტები ასევე სარგებლობენ უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე გამოკრული და ვებ-გვერდზე განთავსებული მასალებით. უნივერსიტეტში სტუდენტების უფლებებს არეგულირებს სტუდენტური ომბუდსმენი.

სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ინფორმირებულნი არიან და სარგებლობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებით, რასაც სთავაზობს უნივერსიტეტი.

როგორც ცენტრალური ადმინისტრაციის, ასევე, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურმეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად დოქტორანტების კონსულტირება ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, ამ კომპონენტების განხორციელების მონიტორინგი. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშებში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტირების ვალდებულება და საათობრივი დატვირთვა.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს თავიანთი „პროფილის“ მეშვეობით შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გაეცნონ მათ შეფასებებს, მიიღონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტუალური ინფორმაცია. სტუდენტების გადმოცემით, ელექტრონული სისტემა მოქნილობით ხასიათდება და მორგებულია მათ საჭიროებებზე. ასევე დადებით ონტექსტში საუბრობდნენ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე დოქტორანტთათვის გამოყოფილ სამუშაო სივრცეზე, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეხვედრა, მუშაობა და საერთო აქტივობების დაგეგმვა.

დოქტორანტთა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობის ხელშეწყობას ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. აორგანიზებს სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებს, პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერის პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტები ჩართულები არიან კვლევით პროექტებში, რომლებიც ფინანსდება უნივერსიტეტის და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში “გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის” ოთხმა სტუდენტმა მიიღო რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ გაცვლით

პროგრამებში და ისარგებლონ კრედიტების მობილობის სისტემით. სადოქტორო პროგრამის ორ სტუდენტს ჰქონდა მიღებული ERASMUS + სტიპენდია და 3 თვით იმყოფებოდა პარტნიორ უნივერსიტეტში. მობილობის შესახებ სტუდენტებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს და დაახასიათეს როგორც ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდილება სადოქტორო სწავლების საფეხურზე. უსდ-ს სახელობის თბილისის აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ისეთ უნივერსიტეტებთან, როგორცაა რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტი, ესტონეთის გამოყენებით მეცნიერებათა მეწარმეობის უნივერსიტეტი, ჟენევის უნივერსიტეტი, ბონის უნივერსიტეტი; ასევე, სამეცნიერო ცენტრებთან და ორგანიზაციებთან: (ბლუმბერგი) BLOOMBERG-ის მომსახურების ცენტრი, მიგრაციისა და განვითარების ცენტრი, CIM გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

2014 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული განვითარების ცენტრი, აწარმოებს საინფორმაციო კამპანიას და ეხმარება სტუდენტებს დამსაქმებლებთან დასაკავშირებლად, მიუხედავად ამისა, სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ არ ახსენებდნენ მსგავს აქტივობებში ჩართულობა ან დამსაქმებლებთან შეხვედრაში მონაწილეობა, თუმცა აღნიშნეს, რომ ყველა მათგანი წარმატებით დასაქმებულია, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
 - საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
 - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი პროგრამები
 - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018-02-26 ბრძანება №:40/02-01 სსიპ -
 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო
 - პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე.
 - განახლებული: 17 ივლისი, 2020
 - ფაკულტეტის დებულება;
 - ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;
 - დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი;
 - ადმინისტრაციული სამსახურების დებულებები
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრების/კომუნიკაციის ორგანიზება და დოქტორანტების ჩართულობის გაზრდა მსგავს აქტივობებში.
 - სასურველია სამეცნიერო ბაზების გამოყენების კიდევ უფრო გამარტივებული

| |
|--|
| <p>პროგრამული უზრუნველყოფა და გამოყენების სტატისტიკის წარმოება.</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ |
| <p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|--|
| <p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p> |
| <p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებულია რიგი მოთხოვნები სამეცნიერო ხელმძღვანელის მიმართ. მაგალითად, ერთ-ერთ მოთხოვნას ხელმძღვანელის მიმართ წარმოადგენს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის რეზიუმეები (cv), დარგობრივი პუბლიკაციები, ხაზს უსვამს ხელმძღვანელთა კვალიფიციურობას. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით ასევე განსაზღვრულია დოქტორანტთადასაშვები რაოდენობა (7), რომელთა ხელმძღვანელობა შესაძლებელია ერთი აკად. პერსონის მიერ.</p> <p>ინტერვიუს დროს, დოქტორანტებმა, ისევე როგორც თემის ხელმძღვანელებმა, აღნიშნეს, რომ რეგულარულად ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები, ასევე იყენებენ კომუნიკაციის სხვა ფორმებს, როგორცაა ელექტრონული ფოსტა და სატელეფონო კავშირი. სტუდენტების გადმოცემით, ხელმძღვანელები გამოყოფენ სათანადო დროს</p> |

კონულტაციისთვის და ითვალისწინებენ მათ საჭიროებებს.

უსდ-ს მიერ შემუშავებული და წარმოდგენილია ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი, შრომითი ხელშეკრულებების სახით. სადაც ასევე გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტირების ვალდებულება და საათობრივი დატვირთვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რეზიუმეები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- 2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში
- თსუ ფსიქოლოგისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება
- პროგრამის აღწერილობა
- დადგენილება №245/2018 - დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების
- შესახებ, დადგენილება №245/2018. 27 დეკემბერი, 2018;
- დადგენილება №69 /2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
- უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
- დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ, დადგენილება №69/2019. 7 ივნისი,
- 2019
- დადგენილება №116/2018 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
- უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების
- შესახებ. დადგენილება №116/2018, 30 აპრილი, 2018;
- უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი-ბოლო განახლება: 20 ივლისი 2020- ხელმისაწვდომია

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სფეროში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, მას დოქტორის ხარისხი მოპოვებული აქვს ედინბურგის უნივერსიტეტში, ამჟამად იკავებს ასოცირებული პროფესორის თანამდებობას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაცია საერთაშორისო და ადგილობრივ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, ფსიქოლოგიის მიმართულებით მონაწილეობა აქვს მიღებული 18 -ზე მეტ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში. არის სახელმძღვანელოების ავტორი/თანავტორი. მისი სამეცნიერო კვლევითი მაჩვენებელია: RG index-9.33 h-index -2; აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფის მხრივ, პროგრამა მდგრადია. პროგრამას ემსახურება 5 აკადემიური და 1 მოწვეული პერსონალი. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან,

უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვები. პროგრამას ემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პერსონალის დატვირთვის სქემა განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით. სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი; უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ყოველწლიურად მოწმდება როგორც ლექციების, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების ხარისხი ასევე, მონიტორინგის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პედაგოგიური ასპექტი, რაც მოიაზრებს ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები და პროფესიონალურ კომპეტენტურობას. ამასთან, უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის მონიტორინგს, რაც გულისხმობს პროგრამის ადამიანური რესურსის შემადგენლობისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს.

თვითშეფასების პროცესში ხდება სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელთა აზრის შესწავლა და შედეგების ანალიზი. ინტერვიუს დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ტარდება პერსონალის კმაყოფილების კვლევა და ანალიზი, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი განურჩევლად პოზიციისა (აკადემიური/მოწვეული) სთავაზობს მათ შესაბამის განმავითარებელ ტრენინგებს. პერსონალის განვითარების კუთხით უნივერსიტეტებს აქვთ განხორციელებული ღონისძიებების ვრცელი ჩამონათვალი. ინტერვიუს დროს დაგინდა, რომ აკადემიური პერსონალის დოქტორანტის ხელმძღვანელობა არ არის შესაბამისად წახალისებული.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებებით, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მოტივაციისა და მათი საქმიანობის აღწერის მიზნით დისერტაციის ხელმძღვანელობა უნდა ფასდებოდეს აკადემიური საქმიანობის კომპონენტად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტს გამოყოფილი აქვს სამუშაო აუდიტორია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მუშაობა. მათ წვდომა აქვთ კომპიუტერებზე, პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისათვის.

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო მატერიალური რესურსით რაც დასტურდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი ცნობებით, ვიზიტის დროს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობის გადამოწმება ვერ განხორციელდა ტექნიკური მიზეზების გამო.

უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობენ შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ექნებათ სრული წვდომა საბიბლიოთეკო რესურსზე და საერთაშორის ელექტრონულ ბაზებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არსებული ინფრასტრუქტურა;
- დანართი 17;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს სტუდენტების სწავლის გადასახადი. პროგრამაზე წარმოდგენილია ბიუჯეტი რომელშიც ასახულია სასწავლო პროცესისთვის და კვლევისთვის საჭირო სავარაუდო ხარჯები. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია:

- პროგრამის მომსახურე, როგორც საშტატო განრიგით გათვალისწინებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, ასევე, შტატგარეშე მომუშავე პერსონალის ანაზღაურება;
- წიგნადი ფონდის შევსება-

გამდიდრებისათვის ფინანსური უზრუნველყოფა; • ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურება; • სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისათვის აუცილებელი ფინანსური უზრუნველყოფა; • სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსება და სხვა.

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი (დანართი #14);
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | | | |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და პროცედურები ეფექტურად არის დაგეგმილი როგორც გამოყენებული რესურსების, ასევე დახარჯული დროის თვალსაზრისით. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: “დაგეგმე - განახორციელე- შეამოწმე -განავითარე”.</p> <p>უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები სისტემატურად ესწრებიან ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ვორქშოფებს, სემინარებსა თუ კონფერენციებს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს. უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, მოიცავს შემდეგ აქტივობებს:</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება - ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის შესაბამისობა პროგრამის შინაარსთან, კრედიტების ადეკვატურად განაწილება, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების</p> |

შესაბამისობა, შეფასების სისტემის შესაბამისობა საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან, დასაქმების სფეროების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და სხვ. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის მართვის სამსახურთან. პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და თავის საქმიანობაში იყენებს მიღებულ შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის გარე ხარისხის შეფასების ზოგადი პრინციპი ემყარება კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებას, რაც პროგრამაში ასახულია.

პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიზნით განხორციელდა 2011 წელს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 3 თებერვლის სხდომის №14 გადაწყვეტილებით გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. მომდევნო პერიოდში ყოველწლიურად ხორციელდებოდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში (დანართი #17.2)
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი #17);
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების მიხედვით და ინტერვიუს შედეგად უნივერსიტეტში პერიოდულად იგეგმება შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. ასევე, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალის გამოკითხვები, დამსაქმებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები. ხორციელდება გამოკითხვის შედეგების ანალიზი გამოვლენილ გამოწვევებზე რეაგირების გზით პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, პროგრამის შეფასების შედეგები წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტს. უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს და შეფასებას ახდენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ: ა)სტუდენტები; ბ)პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი; გ)დამსაქმებლები; დ)პროგრამის კურსდამთავრებულები და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება |
| <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | <input checked="" type="checkbox"/> | | | |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა


| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ■ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ■ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ■ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ■ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ■ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის


გოდერძი ბუჩაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



გიორგი ნიჟარაძე,



მარიამ ლობჯანიძე,